სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

01-98 12.10.2020

# ბრძანება

**„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-4 პუნქტებისა და 26-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

- 2020 წლის 20 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მწვრთნელთა ფაკულტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, მეთოდიკის, მენეჯმენტისა და ისტორიის კათედრაზე, საგანში - საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური საფუძვლები - 1(ერთი) ერთეული.
- საბუთები მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2020 წლის 21 ნოემბერიდა- 2020 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე 10:00-დან 15:00 საათამდე.
- საბუთების განხილვა მოხდეს 2020 წლის 8 დეკემბრიდან 14 დეკემბრი ჩათვლით.
- კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2020 წლის 15 დეკემბრიდან უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: **www.Sportuni.edu.ge**
- კონკურსში გამარჯვებულ პირთა ნშრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2020 წლის 15 დეკემბრიდან 2024 წლის 15 დეკემბრამდე.
- კონკურსი ტარდება სწავლების პირველ საფეხურებზე (საბაკალავრო პროგრამა).

## საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. სასწავლო უნივრსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს რომელიც დააგროვებს **-მინიმუმ 120 ქულას**, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N 01-27 ბრძანებით დამტკიცებული **„საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის „** შესაბამისად.

**კონკურს შიმონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV ;
- დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი,
- სათანადოთ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია, (ელექტრონული ვერსია შესამლებელია წარმოდგენილი იქნას დისკით ან გამოგზავნილი იქნას უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე **info@sportuni.edu.ge**);
- ბოლო 5 წელიწადში განხორციელებული კვლევითი პროექტების ანოტაცია და გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

კონკურსის ჩატარების დებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www.Sportuni.edu.ge).

საკონტაქტო ტელეფონი : 225 00 40

რექტორი,
პროფესორი ჯემალ ბაგანია